

ვებგვერდი, 08/05/2013
სარეგისტრაციო კოდი
040040040.22.055.016025

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის
ბრძანება №01/283
2013 წლის 2 მაისი ქ. თბილისი**

**„ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების რეესტრის დებულების
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა
სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15
თებერვლის №3 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების
თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (№448-რს, 25.03.2013 წ.) მეორე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

მუხლი 1

ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების რეესტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №3 ბრძანება (სსმ III, 2001 წ., №18, მუხლი 157).

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა მინისტრი

ლევან ყიფიანი